

08.10.10

პროექტის სპეციალური ფასილიტატორის ოფისი

აზიის განვითარების ბანკი

ფილიპინები, მეტრო მანელა

მანდალუიონგ სიტი 1550, მე-6 გამზირი

ტელეფონი: (632)632-632-4825

(632) 636-2490

ელ-ფოსტა: spf@adb.org

ბატონო პროექტის სპეციალური ფასილიტატორო,

ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაცია „გურამ თიკანაძის სახ. სვანეთის ახალგაზრდული ცენტრი“ მისამართი: საქართველო, მესტიის რაიონი სოფელი ლატალი და ამავე სოფლის მაცხოვრებლები: ზვიადი ნიკოლოზიანი, მადონა კვანჭიანი, ზურიკო თამლიანი, კობა ფარჯიანი, ბესიკ წერედიანი, ლაშა წერედიანი, ქსენია მარკოვსკაია და გიგლა ფარჯიანი მოგმართავთ,

ნება გვიბოძეთ მოგესალმით ზემო სვანეთის ერთ-ერთ ღამაში სოფელ ლატალიდან საუკეთესო სურვილებითა და დიდი მადლობის გრძნობით იმ პრობლემის გადაწყვეტისათვის, რასაც თქვენი წყალობით ახორციელებს სახელმწიფო ზემო სვანეთში.

კეთილად დაწეებული საქმე რატომღაც გადაიქცა დამატებით პრობლემად ჩვენი სოფლისათვის შემდეგი საკითხების გამო:

- სახელმწიფო თავს იკავებს მშენებლობისათვის საჭირო, კერძო პირთა მფლობელობაში მქონე მიწის ფართობებისათვის კომპენსაციების გაცემიდან;
- ოფიციალური მიდგომა აღნიშნულ საკითხებისადმი ჩვენთვის უცნობია, მას მხოლოდ მშენებლები და სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლები სიტყვიერად ხსნიან სხვადასხვა ინტერპრეტაციით;
- ჩვენის მხრიდან ჩამოვყალიბეთ სამონიტორინგო ჯგუფი ზუგდიდი-მესტიის საავტომობილო გზის ლატალი-მესტიის 10 კილომეტრიანი მონაკვეთის მონიტორინგის განსახორციელებლად, რომელმაც უკვე დაიწყო მუშაობა.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით მოგვაწოდოთ მოსახლეობისათვის საჭირო შემდეგი ინფორმაციები:

- ზუგდიდი-მესტიის ხუთკილომეტრიანი მონაკვეთის ლატალი-მესტიის საავტომობილო გზის მშენებლობის ქსელური გრაფიკი, რომლის მიხედვითაც უნდა მიმდინარეობდეს სამშენებლო სამუშაოები;

- ამავე მონაკვეთზე მოსახლეობისაგან მიწის ნაკვეთების გადაცემის მექანიზმები სამშენებლო ორგანიზაციებისათვის და მათი შესყიდვისათვის ფინანსირების საკითხებზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაციები;

- პროექტის საჯარო განხილვის აქტების ასლები.

ვიმედოვნებთ თხოვნა შესაძლებელი და სამართლიანია და მის პასუხს მივიღებთ თქვენთვის ჩვეული და შესაბამისი კულტურით, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

ღრმა პატივისცემითა და დიდი მადლიერების გრძნობით

„გურამ თიკანაძის სახ. სვანეთის ახალგაზრდული ცენტრი“


ლატალის თემის წარმომადგენლები

გიგლა ფარჯიანი (+995 99) 44 79 78

e-mail: latalicenter@yahoo.com

Georgia, village Latali

ხელმოწერები



არსებული მდგომარეობის აღწერა

სახელმწიფო თავს იკავებს გზის მშენებლობისათვის საჭირო, მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთების გადახდაზე. ჩვენ და ჩვენი აქტივისტები დროულად ჩავერთეთ ვითარების გარკვევაში. პირველადი ინფორმაციის მისაღებად შევხვდით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, მათი გადმოცემით ამ მონაკვეთის დამფინანსებელმა: აზიის განვითარების ბანკმა უარი თქვა კომპენსაციების გაცემაზე, აქედან გამომდინარე ეს თანხები უნდა გამოეყო ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, ხოლო 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი უკვე გაწერილი იყო და ამან შექმნა პრობლემა.

11 აგვისტო: ინფორმაციის დასაზუსტებლად ქ. თბილისში შევხვდით შემსრულებელი კომპანიის დირექტორს ირაკლი უსანეთაშვილს, რომელმაც იგივე ინფორმაცია მოგვაწოდა და დამატებით გვაცნობა, რომ კომპანია მზადაა გამოეყოს 50000 ლარი კომპენსაციებისათვის, მაგრამ პირველრიგში უნდა ჩატარდეს აუდიტის შეფასება/შესწავლა.

24 აგვისტო: მოსახლეობასთან ერთად შევხვდით ადგილზე მიმდინარე სამუშაოების ხელმძღვანელს: გიორგი ხუციშვილს, რომელმაც შეგვატყობინა, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დავალებით სოფელში შეაჩერეს სამუშაოების დაწყება, და თუ მოსახლეობის მხრიდან კომპენსაციის მოთხოვნა არ შეჩერდა პროექტი გააგრძელონ ლატალის გამოტოვებით.

30 სექტემბერი: არასამთავრობოებთან და ექსპერტებთან ერთად შევხვდით მესტიის საკრებულოს წარმომადგენლობას: საკრებულოს თავჯდომარეს გოჩა გვარლიანს. კომისიის წევრებს: დავით გვიჩიანს, გოჩა ხორგუანს და ლომარ ნიგურიანს. განვიხილეთ კომპენსაციების საკითხი და მივაწოდეთ არსებული ინფორმაცია.

8 ოქტომბერი: გზიზ მშენებლობა სოფლის მიმართულებით შეჩერდა, შემსრულებელს საკმარისი დრო ჰქონდა რათა ეს მონაკვეთი შემოდგომამდე დაემთავრებინა

ჩვენ იძულებული გავხდით მიგვემართა პროექტის დამფინანსებელთან, anu TqvenTan აზიის განვითარების ბანკთან, რათა Tqveni მეშვეობით მივიღოთ სათანადო ინფორმაცია და გავარკვიოთ არსებული მდგომარეობა და თავიდან ავიცილოთ მდგომარეობის გართულება.

პატივისცემით,

„გურამ თიკანაძის სახელობის სვანეთის ახალგაზრდული ცენტრი“–ს გამგეობის წევრი

/გიგლა ფარჯიანი/

1. Գտնիչասն շարադրան - Գրառար
2. Կանգնան շրտան - Գ. Կանգն.
3. Գտնիչանի կոնս - Կ. Գտնիչան
4. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
5. Երկարանի Երկար - Ե. Երկար.
6. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
7. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
8. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
9. Կանգնանի Երտան - Կ. Կանգն.
10. Կանգնանի Երտան - Կ. Կանգն.
11. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
12. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
13. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
14. Կանգնանի Երտան - Կ. Կանգն.
15. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
16. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
17. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
18. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
19. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
20. Կանգնանի Երտան - Կ. Կանգն.
21. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
22. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
23. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
24. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
25. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
26. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.
27. Երկարանի Երտան - Ե. Երկար.